ხონის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

ქ. ხონი

26 იანვარი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ანასტასია კაკაბაძე, გვანცა გვანცელაძე, ნინი ჩიხლაძე, ნინი კუხალაშვილი, დავით აკობიძე, მაგდა ჯიშკარიანი, მელანო კოპალიანი, გიგა სულაბერიძე, ლუკა გორდულაძე, ვასილ აგლაძე, თამთა ყურაშვილი, ანნა მოგელაძე, გურამ უგულავა, გოგა გახოკიძე, ასევე, სხდომას ესწრებოდა ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი ავთანდილ ხობუა,

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები:მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ელისო ჯიქია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბის ხელმძღვანელი მურთაზ მატარაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ეთერი აბზიანიძე, მინდია კიკალეიშვილი, ბესარიონ კირთაძე.

დღის წესრიგი:

1. შეხვედრა მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროს სპეციალისტ ელისო ჯიქიასთან,
   თემა: საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირების საკითხები
2. შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბის ხელმძღვანელ მურთაზ მატარაძესთან
3. საბჭოს კომიტეტების წარდგენა განსახილველად
   მომხსენებელი: საბჭოს თავმჯდომარე ანნა მოგელაძე.

მოისმინეს: 1. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირების საკითხები

მომხსენებელი: ელისო ჯიქია- მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ელისო ჯიქიამ ახალგაზრდული საბჭოს წევრებს გააცნო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირების საკითხები. ელისო ჯიქიამ განმარტა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, ასევე ისაუბრა მერიის პროგრამების გამოთხოვისა და განხილვის მნიშვნელობაზე.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე მყოფმა წევრებმა და საბჭოს კოორდინატორმა ავთანდილ ხობუამ.

მოისმინეს: 2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბთან მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

მომხსენებელი: მურთაზ მატარაძე- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბის ხელმძღვანელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის ხელმძღვანელმა, მურთაზ მატარაძემ, საბჭოს გააცნო ზემოთ აღნიშნული კლუბის მნიშვნელობა და ფუნქციები. განხილული იქნა ახალგაზრდულ საბჭოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბს შორის მემორანდუმის გაფორმების ძირითადი საფუძველი. განისაზღვრა იდეა, მიზანი და ამოცანები.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა, მხარი დაუჭირეს მემორანდუმის გაფორმების გადაწყვეტილებას.

დაადგინეს: ახალგაზრდულ საბჭოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, მეგობართა კლუბს შორის გაფორმდეს მემორანდუმი.

მოისმინეს: 3. ახალგაზრდულ საბჭოში კომიტეტების ჩამოყალიბების შესახებ.

მომხსენებელი: ანნა მოგელაძე- ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ ანნა მოგელაძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა შემდეგი კომიტეტები: კულტურა, სპორტი, იურიდიული, ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა, განათლება, სოციალურ საქმეთა და საფინანსო ეკონომიკური.

ამავე სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ, წევრებს პიარის ხელმძღვანელის პოზიციაზე კანდიდატად წარუდგინა ნინი კუხალაშვილი

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს წევრბმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდული საბჭოს პიარის ხელმძღვანელად ნინი კუხალაშვილის კანდიდატურას. პიარის გუნდის წევრებად დაასახელეს ნინი ჩიხლაძე და მელანო კოპალიანი.

ახალგაზრდული საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, საბჭოს კომიტეტების დამტკიცება მოხდება არა უმეტეს ერთი თვის ვადაში.

დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს პიარის ხელმძღვანელად ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, არჩეული იქნა ნინი კუხალაშვილი ახალგაზრდული საბჭოს წევრი. ასევე პიარის გუნდის წევრებად არჩეულ იქნენ: ნინი ჩიხლაძე და მელანო კოპალიანი.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე: ანნა მოგელაძე

ახალგაზრდული საბჭოს მდივანი: თამთა ყურაშვილი